KA030101746234520

№ 01-3916 **27 / აპრილი / 2020 წ.**

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის
უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ბატონ ბექა ფერაძეს

ბატონო ბექა,

იურიდიულ დეპარტამენტში შემოსული თქვენი 15.04.2020 N 01-3444 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციაში (IALI) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის გაწევრიანების თაობაზე პოზიციების წარმოდგენას, იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, გაცნობებთ შემდეგს:

პირველყოვლისა, ვფიქრობთ, სასურველი იყო წარმოდგენილ წარმოებაში წარმოჩენილიყო მეტი კონკრეტიკა შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციაში (IALI) გაწევრიანებით ქვეყნის მიერ მიღებული სარგებლის შესახებ, რაც, თავის მხრივ, გაამარტივებდა მსჯელობას ხსენებულ ასოციაციაში გაწევრინებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება კონკრეტულ სამართლებრივ რისკებს, თქვენ მიერ მითითებული ასოციაციის ვებგვერდზე: http://www.iali-aiit.org/en/about/statutes/ მოძიებულ ინფორამაციაზე დაყრდნობით, აღვნიშნავთ შემდეგს:

ორგანიზაციის მონაწილე მხარე - წერილში აღნიშნულია, შრომის ინსპექციის საერთაშორისო ასოციაციაში (IALI) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის გაწევრიანების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც თქვენთვის ცნობილია, დეპარტამენტი, რამდენადაც არ არის განცალკევებული ადმინისტრაციული ორგანო, იგი დამოუკიდებლად, არ წარმოადგენს დამოუკიდებელი სამართალურთიერთობის სუბიექტს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც, იგი შესაძლებელია, წარმოადგენდეს მხოლოდ სამინისტროს. ამასთან, ვფიქრობთ, დამატებით დასაზუსტებელი იქნებოდა, თუ არებობს, რომელიმე ქვეყნის მხრიდან, ორგანიზაციაში მონაწილეობის სამინისტროს პრეცედენტები, რამდენადაც, წესდების მიხედვით, ორგანიზაციის წევრობაზე აქცენტი კეთდება შრომის ინსპექტორების მონაწილეობაზე.

ორგანიზაციაში მონაწილეობის სტატუსის დაზუსტება, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, იმ კუთხითაც, რომ წესდების მიხედვით, დელეგატები შესაძლებელია, იყვნენ მხოლოდ ,,შრომის ინსპექტორის“ სტატუსის მქონე პირები, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონისა და სხვა საკანონდმებლო აქტების დონეზე არ არის განსაზღვრული ,,შრომის ინსპექტორის“ სტატუსი, შესაბამისად, ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი გასათვალისწინებელია, რათა, შემდგომში, იგი არ გახდეს ქართული მხარის დელეგატების ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობის ტექნიკური დამაბრკოლებელი გარემოება.

ორგანიზაციის წევრობის ხარჯები - ასოციაციის წესდების მიხედვით, წევრობა უკავშირდება გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებს, კერძოდ წესდების მე-4 მუხლის მიხედვით, წევრი ვალდებულია, გადაიხადოს გარკვეული ოდენობის საწევრო (წესდება არ მოიცავს ოდენობის კონკრეტიკას), ასევე, წესდების მიხედვით დეტალურადაა მოცემული ასოციაციის საქმიანობის ფარგლებში, გასამართ კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე დელეგატების მონაწილეობის წესები, რომლებზე დასწრების ხარჯები, სავარაუდოდ, გაღებულ უნდა იქნეს მონაწილე მხარის მიერ, შესაბამისად, ასოციაციაციში წევრობის ფინანსური დანახარჯები, სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ, დამატებით უნდა იქნეს შეფასებული;

ორგანიზაციის დატოვების რთული პროცედურა - წესდების მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, ორგანიზაციის წევრობიდან გასვლა დაუყონებლივ არ ხდება და ის გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა წინასწარი ინფორმირება, 6 თვიანი მოცდის პერიოდი (რა დროსაც საფიქრებელია, რომ საწევროს გადახდა კვლავ ხდება) და ა.შ;

ზემოხსნებული რისკების შეფასების შემდეგ, გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული მოსალოდნელი სარგებლისა და ჩვენი მხირდან გაღებული ხარჯის (საწევრო, მონაწილების ხარჯები და ა.შ.) თანაფარდობისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, სამინიტროს შესაბამისი პოლიტიკის განმსაზაღვრელი სამსახურისა და შესაბამისი კურატორი მინისტრის მოადგილის მიერ.

პატივისცემით,

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნათელა ხმალაძე